უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა კანდიდატების შერჩევა თვითნებურად და უსამართლოდ მიმდინარეობს

2021 წლის 17 ივნისს, იუსტიციის უმაღლეს საბჭოში უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისთვის წარსადგენი კანდიდატების კენჭისყრა გაიმართა და შედეგად 9 კანდიდატი შეირჩა.[1] კანდიდატების შერჩევის მიზნით საბჭოში მიმდინარე პროცესი არსებითად პრობლემური იყო, რადგან საბჭოს წევრების შეფასებები აჩენდა არათანმიმდევრულობის, კანდიდატების მიმართ უთანასწორო დამოკიდებულების და შაბლონურობის შთაბეჭდილებას.

მართლმსაჯულების სისტემაში არსებული გავლენებისა და კორპორატივიზმის შესახებ წლებია აქტიურად საუბრობენ როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო აქტორები და დარგის სპეციალისტები. კლანური ძალაუფლების და სასამართლო სისტემის მანკიერი მართვის მთავარი ღერძი იუსტიციის უმაღლეს საბჭოშია მოქცეული, რომლის გავლითაც წარიმართება ყველა მნიშვნელოვანი პროცესი სასამართლოში. სისტემაში არსებული მძიმე პრობლემები პირდაპირ აისახება საზოგადოებრივ ნდობაზე. ბოლო წლების გამოკითხვები აჩვენებს სასამართლო ხელისუფლებისადმი საზოგადოების დიდი ნაწილის მკვეთრ გაუცხოებას და ნდობის აშკარა კრიზისს.[2]

მრავალი წელია, იუსტიციის უმაღლესი საბჭო, ისევე როგორც საერთო სასამართლოების

თვითმმართველობის ორგანო, ამგვარი საზოგადოებრივი განწყობებისა და კრიტიკის პირობებში ახორციელებს საქმიანობას. შედეგად, მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებები მუდმივად წარმოშობს კითხვის ნიშნებს სამართლიანობის, მიუკერძოებლობისა და გავლენებისგან თავისუფლების კუთხით. ამ ფონზე, გასაკვირი არ არის, რომ რეფორმის რამდენიმე ტალღისა და მუდმივი საკანონმდებლო/ინსტიტუციური ცვლილებების მიუხედავად, სასამართლომ ვერ მოახერხა, საზოგადოების მხრიდან აღქმული ყოფილიყო რეალურად დამოუკიდებელ და სამართლიან ინსტიტუციად.

უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შერჩევის პროცესიც ამგვარ მოცემულობაში წარიმართა. საბჭოს არსებული შემადგენლობისადმი ფუნდამენტური კრიტიკისა და სასამართლო სისტემის მიმართ უნდობლობის პირობებში, მოსამართლეთა შერჩევის პროცესი აღიქმებოდა კლანური ძალაუფლების განმტკიცებისა და არსებული პრობლემების გაღრმავების მორიგ ეტაპად. სასამართლო სისტემის მმართველობისა და ადმინისტრირების მიმართ არსებული ამ დონის საზოგადოებრივი კრიტიკის პირობებში, მიმდინარე პროცესი ლეგიტიმაციის ცხადი კრიზისით ხასიათდება.

აღსანიშნავია, რომ ეს საკითხი კიდევ უფრო გაამძაფრა იმ ფაქტმა, რომ ხელისუფლებამ არ გაითვალისწინა ვენეციის კომისიის 28 აპრილის რეკომენდაცია. ვენეციის კომისია, რეფორმების საჭიროების გათვალისწინებითა და კანდიდატების თანასწორობის უზრუნველსაყოფად, საქართველოს ხელისუფლებას მოსამართლეთა კონკურსის ხელახლა გამოცხადებას სთავაზობდა.[3] ამის მიუხედავად, კანდიდატების შერჩევის პროცესი გაგრძელდა და იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ 1 ივნისს გამოაქვეყნა კონკურსში მონაწილე პირების ინდივიდუალური შეფასებები, ხოლო 17 ივნისის გადაწყვეტილებით, პარლამენტს წარუდგინა საუკეთესო შეფასების მქონე 9 კანდიდატი. კონკურსის მონაწილეების შეფასებების ანალიზი არაერთი მიმართულებით აჩვენებს ხარვეზებს და ეჭვქვეშ აყენებს ზოგადად კონკურსის სამართლიანობასა და სანდოობას:

შეფასებების შაბლონურობა

საბჭოს წევრები უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა კანდიდატებს კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის ნიშნით, ინდივიდუალურად აფასებენ. დასაბუთებაში მინიჭებული ქულების მიხედვით საუკეთესო კანდიდატები ავტომატურად გადადიან მომდევნო ეტაპზე. აღსანიშნავია, რომ ეს პოზიტიურ საკანონმდებლო სიახლეს წარმოადგენდა, თუმცა უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შერჩევის პროცესმა აჩვენა, რომ საბჭოს არსებულ შემადგენლობას არ აქვს ნება, დასაბუთების კომპონენტი არსებითად სამართლიანი და გამჭვირვალე პროცესის ინსტრუმენტად აქციოს.

მოსამართლეთა შერჩევის პროცესში კანდიდატების კვალიფიკაციის შეფასება, იშვიათი გამონაკლისების გარდა, მთლიანად ეფუძნებოდა შაბლონურ მიდგომებს. საბჭოს წევრები უმეტესად იყენებდნენ მზა ტერმინოლოგიასა და ფრაზებს, რათა კანდიდატისთვის მინიჭებული მაღალი ან დაბალი ქულები გაემართლებინათ. შესაბამისად, დასაბუთებების ხარისხი და მოცულობა იყო მწირი, არ ეფუძნებოდა კანდიდატების კვალიფიკაციის, გასაუბრების დროს გამოვლენილი ძლიერი და სუსტი მხარეების და მათი პიროვნული მახასიათებლების სიღრმისეულ და კონკრეტიზებულ გამოკვლევას. ამ დასკვნას დამატებით ამყარებს ის ფაქტი, რომ რიგ შემთხვევებში სხვადასხვა შემფასებლების კომენტარები კანდიდატების მიმართ იყო იდენტური ან მსგავსად ფორმულირებული.

შაბლონური იყო კეთილსინდისიერების კომპონენტის შეფასების ნაწილებიც. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხვადასხვა წევრის შეფასებებში გაბნეულად არის ფაქტობრივი ინფორმაციები კანდიდატების შესახებ, როგორიცაა, მაგალითად, პოლიტიკური საქმიანობის განხორციელება, დისციპლინური დევნა, ბიზნეს საქმიანობა, მედიაში მათ შესახებ არსებული ინფორმაციები სხვადასხვა საქმეებთან კავშირში, სისხლისსამართლებრივი დევნის შემთხვევები და სხვა. თუმცა, ასეთი ინფორმაციების შეფასება, გამონაკლისი შემთხვევების გარდა (სადაც ეს უმთავრესად შაბლონურ და ზედაპირულ ხასიათს ატარებს), არ ხდება.

შეფასებების უკიდურესმა შაბლონურობამ ორი პრობლემა გამოამჟღავნა: 1) ის გამოკვეთს, რომ საბჭოს წევრებმა დასაბუთების მოთხოვნა ტექნიკურ შესრულებამდე დაიყვანეს და, შესაბამისად, არ გამოიჩინეს სათანადო ძალისხმევა, რათა მას შეეძინა ის დატვირთვა, რასაც რეალურად ემსახურება (დასაბუთებული, სამართლიანი, განჭვრეტადი, გამჭვირვალე და ობიექტური გადაწყვეტილების მიღების ხელშეწყობა). ამდენად, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა კანდიდატების შერჩევის პროცესს სამართლიანი მიდგომების რაიმე არსებითად ახალი სტანდარტი არ დაუმკვიდრებია; 2) ამ მიდგომამ გარე დამკვირვებლისთვის ისევ ბუნდოვანი და გაუგებარი დატოვა, რეალურად კეთილსინდისიერების და კვალიფიკაციის რა სტანდარტით ხელმძღვანელობს საბჭო. შესაბამისად, პროცესმა კიდევ უფრო გააღრმავა უნდობლობა საბჭოს არსებული შემადგენლობისა და მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებებისადმი. აღსანიშნავია, რომ ეს უკანასკნელი პრობლემა დამატებით გამოვლინდა დასაბუთებების არათანმიმდევრულობის ჭრილშიც.

შეფასებების არათანმიმდევრულობა

შეფასებების შაბლონურობასთან ერთად, თავს იჩენს მისი არათანმიმდევრულობის

პრობლემაც. კერძოდ, როგორც გამოჩნდა, შემფასებლები ხშირად მსგავსი დასაბუთების პირობებში, არსებითად განსხვავებულ ქულებს უწერდნენ სხვადასხვა კანდიდატებს.[4] გარდა ამისა, რიგ შემთხვევებში ფაქტობრივად შეუძლებელია რაიმე მწყობრი ლოგიკის დანახვა, თუ რის მიხედვით იწერება კონკრეტულ კრიტერიუმში შესაბამისი ქულები. მაგალითისთვის, Ḍ□□□□ კომპონენტში □ დაწერილი მაქსიმალური და მასზე ნაკლები ქულები უმრავლესად ერთნაირ [შაბლონურ] არგუმენტაციას ეფუძნებოდა. კერძოდ, შემფასებლების მხრიდან არ იყო გამოთქმული კრიტიკული პოზიციები ან შენიშვნები, თუმცა დაწერილი ქულები მაინც არსებითად განსხვავდებოდა ერთმანეთისგან.[5] ანალოგიურად, ცხადი იყო არათანმიმდევრულობა საპროცესო ვადების დაცვის მაჩვენებლების შეფასებაში, რომელიც განსხვავებულ ქულებში აისახებოდა.[6] როგორც წესი, შეფასებებში ასევე არ არის გამოკვეთილი კანდიდატებს შორის სამართლებრივი ცოდნისა და არგუმენტაციის იმ დონის სხვაობები, რაც მათ მიმართ არსებითად განსხვავებული ქულების დაწერას გაამართლებდა. მთლიანობაში, არაერთი შემთხვევა იყო ისეთი, როცა კრიტიკული შეფასება არც ერთ კომპონენტში დაფიქსირებული არ იყო, მაგრამ კანდიდატს შესამჩნევად დაბალი ქულები ეწერა.[7]

უნდა ითქვას, რომ ეს საკითხი მჭიდროდ არის დაკავშირებული თავად შეფასების კრიტერიუმების შინაარსთან და იმასთან, თუ როგორ უყურებენ მათ თავად შემფასებლები. მაგალითისთვის, მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს აკადემიური მიღწევებისა და პროფესიული აქტივობის კომპონენტებთან მიმართებით არსებული მიდგომები. შეფასებების გაცნობით ფაქტობრივად გაუგებარი დარჩა, კონკრეტულად რა ტიპისა და მოცულობის აკადემიური და პროფესიული მიღწევები უნდა ჩაითვალოს შესაფერისად უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატისთვის. ეს საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია იმ ფონზე, როცა მაგალითად, შერჩეული კანდიდატებიდან ნაწილს არც ერთი სამეცნიერო სტატია ან პუბლიკაცია არ აქვს გამოქვეყნებული.

მნიშვნელოვანია, რომ შემფასებლების მიერ კანდიდატებისთვის მინიჭებული ქულები და არგუმენტაცია იყოს თანმიმდევრული, ეფუძნებოდეს არსებითად მსგავს მეთოდოლოგიურ მიდგომებს და არ ტოვებდეს მიკერძოებულობის ან ტენდენციურობის ნიშნებს. ამ მხრივ, სამწუხაროდ, ის თუ როგორ განიმარტებოდა შეფასებისთვის აუცილებელი კრიტერიუმები და როგორ საბუთდებოდა იგი თითოეულ კანდიდატთან მიმართებით, არ იძლევა პროცესისადმი ნდობის საფუძველს. ამასთან, უნდა ითქვას ისიც, რომ შეფასებების შაბლონურობა და არათანმიმდევრულობა კანდიდატების მიმართ დისკრიმინაციისა და უთანასწორო მოპყრობის რისკებს ზრდის.

ინფორმაციის მოძიება და სანდოობა

შესწავლილი შეფასებებიდან გამოჩნდა, რომ კანდიდატის შესახებ ინფორმაციის მოძიების წყაროები არასისტემურია, საბჭოს წევრები კი ფაქტობრივად არ იჩენენ ძალისხმევას, რომ სათანადო ინფორმაციის მოკვლევით შექმნან კანდიდატის ბიოგრაფიის ამომწურავი და სრულყოფილი სურათი. გაურკვეველია, იუსტიციის უმაღლეს საბჭოს მიერ ფაქტების მოძიების რა მექანიზმები გამოიყენება. მაგალითისათვის, შემფასებლები უთითებენ კანდიდატის შესახებ რესპონდენტთა (გარდა რეკომენდატორებისა) გამოკითხვაზე, თუმცა უცნობია ვინ არიან აღნიშნული პირები და რა მეთოდოლოგიით ხდება მათი გამოკითხვა. ასევე, კანდიდატების კომპეტენტურობაზე მსჯელობისას, გამოყენებულია იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებები.[8] ამ შემთხვევაშიც არ ჩანს, რამდენად ექცევა ყურადღება, თუ როდის არის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებები მომზადებული და რამდენად აქვს კანდიდატს იგივე პროფესიული გამოწვევები ან/და უპირატესობები, რაზეც მოცემულ შეფასებაშია საუბარი.

პრობლემურია ისიც, რომ შემფასებლები ეყრდნობიან მხოლოდ კანდიდატების მიერ წარმოდგენილ გადაწყვეტილებებსა თუ სამეცნიერო ნაშრომებს, რაც ცხადია ვერ შექმნის ერთიან და ნათელ სურათს კანდიდატის სამართლებრივი დასაბუთების, საქმიანობის პრინციპებისა თუ წერითი უნარების შესახებ. ეს გარემოებები კი წარმოშობს კითხვებს იმის თაობაზე, თუ რამდენად სანდო და რელევანტურ ინფორმაციას ეყრდნობიან საბჭოს წევრები კანდიდატების კეთილსინდისიერებისა და კვალიფიკაციის შემოწმებისას.

დასკვნის სახით

შეფასების სისტემა მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია მოსამართლეთა დანიშვნის პროცესის გამჭვირვალედ და ობიექტურად წარმართვისთვის. თუმცა, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატების შერჩევამ აჩვენა, რომ მართლმსაჯულების სისტემისადმი უნდობლობის, შიდა კორპორატიული კულტურის, მართვისა და ადმინისტრირების მანკიერი პრაქტიკების პირობებში, ის ვერ იქნება არსებითად სამართლიანი პროცესის გარანტი. მეტიც, როგორც აღმოჩნდა, მოქმედმა სისტემამ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს და მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებებისადმი ნდობის თვალსაზრისით რაიმე გარდამტეხი ცვლილების მოტანა ვერ შეძლო.

პროცესზე დაკვირვებამ კიდევ ერთხელ აჩვენა, რომ იუსტიციის უმაღლეს საბჭოსა და მთლიანად მართლმსაჯულების სისტემაში ფუნდამენტური ცვლილებებისა და გაჯანსაღების გარეშე, სასამართლოში მიმდინარე ყველა მნიშვნელოვანი პროცესი (განსაკუთრებით კი მოსამართლეთა დანიშვნები) უნდობლობის, კორპორატივიზმისა და კლანური ძალაუფლების განმტკიცების წრეზე სიარულია. შესაბამისად, მართლმსაჯულების

სისტემაში რადიკალური ცვლილებების დაწყების გარეშე, ნებისმიერი შემდგომი პროცესი ამ წრისგან თავის დაღწევის გამორიცხვას ემსახურება. იუსტიციის უმაღლეს საბჭოში მოსამართლეობის კანდიდატთა კონკურსის ხარვეზიანად და უსამართლოდ წარმართვის პირობებში, აუცილებელია:

- საქართველოს პარლამენტმა კანდიდატების უზენაეს სასამართლოში განწესების თაობაზე გადაწყვეტილება მიიღოს საპარლამენტო ოპოზიციასთან პოლიტიკური კონსენსუსის საფუძველზე;

- თუკი ოპოზიციასთან კონსენსუსის მიღწევა შეუძლებელია, პარლამენტმა უარი თქვას მოსამართლეების დანიშვნაზე მანამ, სანამ არ გატარდება მართლმსაჯულების სისტემური რეფორმა.

---

[1] პარლამენტისთვის წარდგენილი კანდიდატები, 17 ივნისი 2021, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/35TqDzf; წვდომის თარიღი: 18.06.2021.

[2] The International Republican Institute (IRI), Public Opinion Survey Residents of Georgia (June-July 2020), გვ.25, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2Skv7f2; წვდომის თარიღი: 18.06.2021.

[3] კოალიცია უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა კონკურსს ეხმიანება, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3iXkKbK; წვდომის თარიღი: 18.06.2021.

[4] მაგალითისთვის, საბჭოს წევრ ზაზა ხარებავას, კანდიდატ დავით გელაშვილის შეფასების პირველ ორ კომპონენტში (სამართლის ნორმების ცოდნა და სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია), 5 ქულა აქვს დაკლებული. ეს იმ პირობებში, როცა მოყვანილ დასაბუთებაში რაიმე ფორმის კრიტიკა ან შენიშვნა არ არის დაფიქსირებული. ამ ფონზე, მსგავსი დასაბუთებისას, მაგალითად, რევაზ ნადარაიასა და ლაშა ქოჩიაშვილის შემთხვევებში (რომლებთან მიმართებითაც შენიშვნებიც კი უფრო მეტი იყო), ზაზა ხარებავამ ამ კომპონენტებში ჯამში მხოლოდ 2 ქულით ნაკლები დაწერა.

[5] მაგალითისთვის, საბჭოს წევრმა ვასილ მშვენიერაძემ სტანდარტული შაბლონური დასაბუთების პირობებში, კანდიდატ ლევან თევზაძეს წერით კომპონენტში მხოლოდ 1 ქულა დააკლო (19/20), მაშინ როცა არსებითად იდენტური დასაბუთების პირობებში,

კანდიდატ მაია კოპალეიშვილს - 3 (17/20). აქ გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ როგორც იკვეთება, ლევან თევზაძისგან განსხვავებით, მაია კოპალეიშვილს არაერთი სამეცნიერო სტატია/ნაშრომი აქვს გამოქვეყნებული.

[6] მაგალითისთვის, კანდიდატ ლაშა თავართქილაძის შემთხვევაში მაღალი იყო მის მიერ საპროცესო ვადების დაცვით განხილულ საქმეთა (95.5%) და უცვლელად დატოვებულ გასაჩივრებულ გადაწყვეტილებათა პროცენტული მაჩვენებლები (100%), თუმცა შესაბამისი კომპონენტის შეფასებისას საბჭოს წევრი თეა ლეონიძე უთითებს, რომ კანდიდატი ამ ვადებს Ď□□□□□□□□□ იცავს □ და 2 ქულას აკლებს (13/15). აღნიშნულისგან განსხვავებით, მაგალითად რევაზ ნადარაიას პროცენტული მაჩვენებლები 66.7% და 80% იყო, თუმცა, საბჭოს წევრების (ნიკოლოზ მარსაგიშვილი, თამარ ონიანი და თეა ლეონიძე) მიერ ის შეფასდა, შესაბამისად, 14, 14 და 15 ქულებით.

[7] მაგალითისთვის, საბჭოს წევრების, თამარ ღვამიჩავასა და ქეთევან ცინცაძის მიერ კანდიდატ ლავრენტი მაღლაკელიძის შეფასებაში არ იკვეთება კრიტიკული მოსაზრება ან შენიშვნა რომელიმე კომპონენტში, თუმცა, საბოლოოდ დაწერილია, შესაბამისად, 90 და 92 ქულები.

[8] საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის 66^{3} მუხლის თანახმად, იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭო, არის დამოუკიდებელი კოლეგიური ორგანო, რომელიც განსაზღვრავს სკოლის საქმიანობის მიმართულებებს, კოორდინაციას უწევს მათ და ზედამხედველობს აღსრულებას. მისი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფუნქციაა რაიონულ (საქალაქო) და სააპელაციო სასამართლოებში დასანიშნ მოსამართლეობის კანდიდატთა შეფასება. კერძოდ, 66^{33} მუხლის თანახმად, დამოუკიდებელი საბჭოს შეფასება მოიცავს: (ა) თეორიული კურსის დამამთავრებელი გამოცდის შედეგების შეფასებას; (ბ) სტაჟირების გავლის შედეგების შეფასებას; (გ) სემინარული მუშაობის შედეგების შეფასებას; (დ) სკოლის დამამთავრებელი გამოცდის შედეგების შეფასებას; (ე) სტაჟირების ხელმძღვანელის შეფასებას; (ვ) სკოლის მასწავლებელთა შეფასებას; (ზ) სტაჟირების გავლისას იუსტიციის მსმენელის მიერ შედგენილი წერილობითი ანგარიშისა და შესრულებული ნაშრომის შეფასებას; (თ) იუსტიციის მსმენელის დისციპლინის შეფასებას.